1873

ცისკარი

მაისი ⁄ ივნისი.

წელიწადი მეშვიდმეტე

წოდება თხზულებათა:

I.—სამთავროს მონასტერი. ი. კერესელიძისა.
II.—გაზაფხული (ლექსი). ი. კერესელიძისა.
III.—კატაკომბი (მოთხრობა). ი. კერესელიძისა.
IV.—ფარვანა (ლექსი). კ. ბერძენოვი-კობალაძისა.
V.—სცენა რუსეთის ვაჭრების ცხოვრებითგან ი. კ.
VI.— ლექსი. კ. ბერძენოვ-კობალაძისა.

ტფილისს:

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

ბიბლიოთეკა

სამთავროს მონასტერი.

თარგმანი დ. ბაქრაძის სტატიიდან.

სამთავროს მონასტერი მდებარეობს მცხეთაში, კაფედრანი სობოროს ჩრდილოეთის მხრივ. ეს მონასტერი არის საუკეთესო ქრისტიანობრივი სახსოვარი ძველს საქართველოს სატახტოში, შემდეგ ჰირველის მცხეთის სობოროსი, ⁂ რაც იმისთანა ძველი მონასტერი მოიპოვება იმის გარშემო, თუმცა მრავალნი სახსოვარნი არიან იმ მხარეზედ. საქართუჭლოს მოთხრობითგან ვიცით, რომ მეV საუკუნის ნახევარში, საქაროუჭლოს მეფის არჩილის ჰირველისაგან (**410-434** წ.) იეო აღგებულ მდინარ არაგვის კიდეზედ ეკკლესია სტეფანე ჰირველ მოწამის სახელობაზედ, რომლის კვალი ახლა აღარცკი სჩანს. ამას გარდა აკადემიკი ბროსე თავის საარხეოლოგიო მოგზაურობაში გვიჩვენებს: მდინარე არაგვის კიდეზედ არიან ჰატარა ეკკლესიის ნაქცევნი, რომელსაცა უწოდებენ ანტიოსას,

ლის ლურჯი მონასტრის ზედ წარწერითგან სჩანს ეს ტიტული ⁂ აგრეთვე გელეთის მონასტრის ზედ წარწერითგან, სადაცა მოიხსენება ქართლის არხიეპისკოპოზად; აგრეთვე ეს წოდება სჩანს **1258** წლის, ერთის ოქმითგან. თუმცა უფ. იოსელიანი ფიქრობს, რომ ეს ტიტული ვითომც ეკუთვნოდა მარტო ქათალიკოზს, ⁂ სადაცა მოიხსენება ქართლის არხიეპისკოპოზი, ეს მიეწერება ქათალიკოზსა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩუენ უფრო თანახმანი ვართ აკადემიკის ბროსეს წინააღმდეგს აზრს. დასამტკიცებლათ მოვიხსენებთ **1258** წლის დაწერილს ოქმს; ამაზედ უკეთესი დამტკიცება რომელი იქნება, როგორც ამ ოქმიდან სჩანს რომ, როდესაც საქართუენლოს კათალიკოზად იყო ნიკოლაოზ, იმავე დროს არხიეპისკოპოზად იყო გიორგი. სამთავროს საეპისკოპოზოს ეკირა მეოთხე ხარისხი. პირველად იყო კათალიკოზი, მეორე არხიეპისკოპი ჭყონდიდისა ანუ მარტვილისა, მესამე აწეურის მიტროპოლიტი ანუ სამცხისა ⁂ მეოთხე სამთავრისა. ჯერ არ ვიცით წყობით ვინა ⁂ ვინ იყვნენ სამთავროს არხიეპისკოპთზნი. სამთავროს მონასტრის კუთვნილებითგან ჩუენნა გვაქუს ერთი მიტრა, რომელიცა არის ახლა სიონის სობოროში. ე. ი. იოსელიანი გვიანბობს, რომ

ეს მიტრა მოჯედილია სრულებით მარგალიტებით, სხუა
ᲓᲐ სხუა მეირფასის თვლებით, ლალით, ფირუზებით ᲓᲐ
სხუა. შიგ ოთხკუთხივ უსხედან ხატები, მაცხოვრისა,
ღუთის მშობლისა, სამის წმინდანისა, ვასილი დიდისა,
გრიგოლ ღუთის მეტყველისა ᲓᲐ იოანე ოქროპირისა.
გარშემო ქუსბის მხრივ, გამოქანდაკებულნი არიან თორ-
მეტნი საუფლო დღენი. ეს მიტრა უკანასკნელს დრო-
ში იყო ჩერქეზის ეპირხიის ეპასკოპოზის ევგენისა, რო-
მელიცა გადაიცვალა **1805** წელს მოსკოვში.

სამთავროს ეპარხიანი, ანბობენ, გაუქმებულა **1818**
წელს ᲓᲐ მას დღითგან არის მოლოზნების მონასტე-
რი, ახლა აქ მოლოზნების გარდა, გამართულია სამ-
უღდელოთ ობოლ-ქალებისათჳს სასწავლებელი.—

ი. კერესელიძე.

ვზის მეტია რადგანც ამ მონასტერს მტრებისაგან ეწ-
ვია იგივე სვე, რაცა ეწვია კათოლიკოზების მაკიფედ-
რო მცხეთის მონასტერს თეიმურაზის დროს, ამისა-
თჳს ის კელასლად აღშენებული იო ალექსანდრე მე-
ფისაგან, ერთსა ᲯᲐ იმავე დროსა: თუ რომ ზოგი ერთს
ჰგონია ვითომც ეს ეკკლესია უფრო ადრე იოს გა-
კეთებული, ეს ამისათჳს, რომ ისე არ ახლდებოდა,
როგორც შხირად უახლებიათ მცხეთის სობორო; ეს
სობორო სრულებით განახლდა XVIII საუკუნის და-
საწყისში, გარეთ კედელზედ არსად არ არის ზედწარ-
წერა, მე ეს არ შემინიშნავს, არც თუ შიგნით კედ-
ლებზედ. როგორც გვიანბობს მოგზაური დიუბუა, მო-
ლოზნების ძველი სენაკები, რომელნიცა ახლა არიან,
ადრეც მოლოზნებს ეჭირათ, მოგზაურისათჳს უჩვენე-
ბიათ წმინდა ნინოს სამლოცველო, ეკკლესიითგან რამ-
დენიმე ბიჯზედ მოშორებით, ის ახლა დაქცეულია,
სიგანე იქნება ათი ფუტი. ეს ნაქცევი არის ძველის
ძველი. ამ ალაგს როდესაც ეოფილა კარახტინი, თურმე
ამ სამლოცველოში აფთიექა ჰქონიათ. ამაებს გვიან-
ბობს როგორც ზემოთა ვთქვით დებუა.—მართლადაც,
როგორც სჩანს ერეოის დოკუმენტითგან, რომელიცა
დაბეჭდილია კავკაზიის არხეოლოგიის კომმისიის მე-

ხუთე აკტებში, დასაწყის XIX საუკუნისა, სამთავროს ეკკლესიაში, მცხეთის ახლო, სადაცა გამართული იყო კარანტინი, გამართული იყო ავათმყოფების, თუ მკსავრების საბოლებელი, რადგანც ამ გვარი წესდებულება, რიგი არ იყო, ამისათჳს საქართუჭლოს ეგზარხოსმა ვარლაამმა, მთავარმართებლობის დროს რტიშჩეკისა 1813 წელს, სთხოვა გადაეტანათ ეს აფთექა სხუა ალაგს.

ვახუშტის სიტყვებით ვიცით, რომ ეს ეკკლესია აშენებულია მაცხოვრის სახელობაზედ. ანბათ კი გაგონებული გვაქუს შემდგომი: ის ეკკლესია აშენებულია, პირველ ქრისტიანის, საქართუჭლოს მეფის მირიანისაგან (265-342). ამ ეკკლესიას უწოდებენ ზემო ეკკლესიად. ამ ეკკლესიაში დასაფლავებული იყო მეფე მირიანი. ვახტანგ გორგასლანმა, (446-490) როგოც მოგვითხრობს მატიანე, დაადგინა მცხეთაში კათოლიკოსი პეტრე, მისგანვე აშენებულს, მოციქულთა სახელზედ, სვეტის-ცხოველში, ხოლო ეპისკოპად ზემო საეპისკოპოზო ეკკლესიაში, დასვა სამუელ ეპისკოპოზი. სამთავროს ეპარხია არსებობდა უკანასკნელს საუკუნებშიაც, ამ ეპარხიას ეჭირა ალაგები, რეხულის ტ დიდის ლიახუის შუა. სამთავროს ეპისკოპოზს, უწოდებდნენ სამთავროს ანუ ქართლის არხიეპისკოპოზად. ტფი-

ხოლო მდინარე მტკვრის კიდეზედ აგებულია კლდეში ძველი ეკკლესია ბეთლეემისა. ეს ეკკლესია ახლა დაქცეულა, ახლა მხოლოდ ზემო ნაწილიდა სჩანს, რომელიცა ორ სვეტს უჭირავს. ძველის-ძველ ეკკლესიად უნდა მივიღოთ ეკკლესია, რომელსაცა უწოდებენ არმაზს, ⰴ რომელიცა აშენებულია მოშორებით, სამხრეთ დასავლეთისაკენ მცხეთითგან, არმაზის წულის ხეობაში. ვისგან ⰴ ვის დროს არის აშენებული, არ ვიცით. საქართუჩლოს მეისტორიენი უწოდებენ ამ ეკკლესიას მონასტრად. მცხეთის ერთი ოქმი, რომელიცა დაწერილია **1442** წელი გვაჩვენებს, რომ ეკკლესია არმაზისა, თავისის ცხით, უჩუქებია ალექსანდრე მეფეს მცხეთის სობოროსათჳს. დღევანდლამდინ მრთლადა დგას ⰴ აქუს გუმბათი. საკვირველია ⰴ უნდა გამოტეხითა ვსთქუათ, რომ ამ ეკკლესიაზედ, რომელიცა მდებარეობს ოც ვერსზედ ტფილისითგან, არაფრის ცნობა არა გვაქუს, რადგანც ჯერ აქამდინ არავის არა დაუწერიარა ამაზედ, ამისათჳს ვერცა რას ვიტუვით, ვერც იმის არხიდეკტურაზედ, ვერც იმის ზედ წარწერილობაზედ. უფრო საკურველი ეს არის, თჳთან სამთავროს მონასტერიც დავიწუებიათ მსწავლულთ მოგზაურთა, რომელთაც კი უნახავთ მცხეთა. არც მურავიოვს, არც

ბროსსეს ჯ არც სხვას არა დაუწერიათრა, მხოლოდ ერთი დიუბუა დე-მონსე გვიწერს ამაზედ, მაგრამ, ისიც მხოლოდ აგვიწერს მოკლედ იმის შესედულობას ჯ ადგილ მდებარეობას.—

სამთავროს მონასტერს, რასაკვირველია ეს სახელი ამისათვისა ჰქვიან, რომ ადრე ეოფილა ამავე წოდების სიმაგრე, ეს სიმაგრე მდებარეობდა **300-400** ბიჯზედ მოშორებით მცხეთის დარღვევითგან, სადაცა იყო სარკინეთი, არმაზის ჯ სარკინეთს შუა ჩამოუდის მდინარე მტკვარი. ამ მონასტერს ჰქონდა ბაღი, გალავანით შემოზღუდული, რომელიცა გავრცელდებოდა სარკინეთამდინ. სიტყვას «სამთავროს» ეს მნიშვნელობა აქუს, რომ ის ალაგი ეოფილა მთავრების სამეოფელო. სენ მარტენი ფიქრობს, რომ ამ სიტყვას, იგივე წოდება აქუს, რაცა აქუს სემარას სტრაბონისას. მონასტრის არხიტექტორა, ანბობს დუბუა, იმისი ჰლანი, ქუსბი, რომლითაც აშენებულა, თჯთ კელოვნება იგივე არის, როგორითაც აშენებულია მცხეთის სობორო. (*)

მხოლოდ სიდიდით ჯ სივრცით სობორო ბევრ

(*) თქმულება დარჩომილა მამა-ჰაჰათაგან ხალხში, რომ ოსტატი ჯ შეგირდი, ორნივე კალატოზნი, ვითომც გაჯიბრებულან, თუ რომელი უკეთეს ეკკლესიას გააკეთებდა. სამთავროს ეკკლესია გაუკეთებია ოსტატს, მცხეთის სობორო შეგირდს. ოსტატს შეგირდის შენობა შეშურებია, ჯ მოუჭრია კელი, ეს კელი ჩრდილოეთის მხრივ, გარეთგან კედელზედ, მაღლა ქუაზედ გამოქანდაკებულია.

გაზაფხული.

დადგა მაისი, იწყო ავდარმა,
ჰირველად იწყო ცამან ქუხილი;
სამოდ დაჭბერა ჩრდილოთ ნიავმა,
შორს დახვდა ველი მწვანედ მოსილი!

ჭექს, ქუხს ლ ელავს გააქვს გრიალი,
ცელქობს ბუნება ვითა უმაწვილი,
მიუვარს ამ გვარად მისი ტრფიალი,
გაზაფხულია მინამდის ჩვილი.

ჭა, წამოვიდა წვიმა კოკორი,
მიწითგან ავალს ჭაერში მტვერი,
სვეტათ აღმართულ ღრუბლებთა შორის,
სხივი გამოკრთის მზის მშვენიერი,

ტკითგან მოსცემენ ფრინველნი ხმასა,
რა შრიალებენ ურიცხვნი ხენი,
თითქოს ესხვერპლს სძღვნიან მით ზენა არსა,
ერთობ ფრინველნი, ტყენი ლ კლდენი!

ი. ჯ.

მაისი 20 ს.

კატაკომბი.

IV.

მინამ სტუმრები ვახშამს გაათავებდნენ ფაბიას ზალაში, სირა შევიდა ფაბიოლლას ბიბასთან ეტრუსინესთან, რომელიცა შეკრთა, დაჭრილობაზედ. იმან მობანა ტ მერე კარგათ შეუხვია.

— საცოდაო! უთხრა ეტრუსინემ.-რა დააშავე იმისთანა. რომ ქალბატონმა აგრე დაგსაჯა? მე მეონია ძალიანა გტკივა? აგრე რომ გაგიანჩხლეია, უოუოდ ძალიან გიწუეინებია? საშინლად დაუჭრიხარ? მაგრამ ჩუენი ქალბატონი კეთილი არის! რამდენი სისხლი წაგსვლია; ჩემო ღმერთებო! ეს რა დაგიშავებია იმისთანა?

— მე გავბედე ტ დაუწუე ბაასი.

— ბაასი დაუწუე! დაუწუე ბაასი ქალბატონსა, ოჯ შეკვდავო ღმერთებო! ხომ ჭკუითგან არ შეშლილხარ

ოგო! სად გაგონილა, მონამ ქალბატონს ბაასი და-
უწყოს; შერე იმისთანას მსწავლულს ქალბატონსა! თვი-
თან ფილოსოფოსი კალჰუნიაც ვერა ბედავს იმასთან
ბაასსა, ახლა კი ალარ მიკვირს, რომ დაუჯრიხარ...
ისე გაანჩხლებულა, რომ ხანჯალი დაუკრავს შენთჳს,
ჩუმათ, გაჩუმდი ჯ არავის რა უთხრა?... არავინ უნდა
იცოდეს ეგა, რომ შენ ქალბატონისათჳს კიბაასნია.
არა, რას იტყვიან. პარფენ ხომ არა გაქვს; ოლიას ისე
აგიხვევ, რომ ვერავინ მიხვდეს. შენ ამხანაგებ გოგო-
ებს, ყველაფერი მორთულობა აქვსთ ჯ შენკი არაფერი
გაბადია. მე მგონია შენ არ გიყვარს მორთვა; მე თი-
თონ მოგრთამ.

ეტრონინე შევიდა სამუასლო ოთახში, გااალო სი-
რას ზანდუკი, ამოქექა რაც რამა ჭქონდა ჯ იპოვნა
ერთი შალი, სულ თვალითა ჯ მარგალიტით მოჭედი-
ლი. ისე გაჭკვირდა, რომ უბრალო მონას, ამისთანა
ფას შეუტებელი სამკაული ჭქონდა. სირამ რომ ეს და-
ინახა, სთხოვა ამ სამკაულისათჳს თავი დაენებებინა
ისევე ზანდუკში ეოფილიეო, ნება მიეცა არ წამოესხა
ეს ძვირფასი შალი, რადგ'ნც ეს იეო ტკვე მონა ჯ ამ
საუნჯეს ინახავდა, როგორც სახსოვარს საუნჯეს თა-
ვის სამშობლოს ქუჩუნითგან მოეოლილსა, როგორც

სახსოვარს თავის დედ-მამისას. ეტრუსინემ მაინც მა-
ლათი მოახვია.

სირა გამოვიდა ტალანში, სადაცა მონებს ნება
ჰქონდათ, მიეღით თავიანთი ახლო მცნობი ორ ტა-
ლანთან ახლოს მეოთხ ოთახში. იმას ეჭირა ჭელში
კალათა, რომელზედაც თეთრი ჭელსახოცი გადაფარე-
ბული იყო. ამ დროს იქ შემოვიდა სხუა ქალი თერთ-
მეტის თუ შვიდმეტის წლისა, ღარიბი, მაგრამ სუფ-
თად ჩაცმული. ის ჭელზედ მოესვია სირასა ტ მიეკრა
გულში. ეს ქალი იყო მეტად ლამაზი, მაგრამ ორივე
თვალებით უსინათლო დაბადებითგანვე.

— დაჯექი ცეცილიავ, უთხრა დაუვაებით სირამ
ტ მიუვანა ტახტოან. მე მოგიტანე ვახშამი, მიირთვი.

— ეოველთჯს აკი აქა ვჭამ ხოლმე ვახშამსა, შე-
ნის წყალობით.

— მართალია, მაგრამ დღეს ჩემს ქალბატონს
თავის სუფრითგან გამოეგზავნა ჩემთვის კარგი ვახშამი.

ოჰ, რა კეთილი სული ხარ! არ ვიცი როგორი
მადლობა გითხრა, მერე რატომ შენკი არ მიირთმევ ამ
ვახშამსა?

— უნდა სწორეთ გითხრა, მე ძრიელ მესიამოვ-
ნება, როდესაც მიყურებ ტ შენ მადიანათა სჭამ. შენ

როდესაც გამოვლო ჰატარა ეზო, უცებ დაინახა ფულვია გამომავალი სტუმროებითგან, ის შეკრთა, ჰირს ჯვარი გადაიწერა ⁂ იქ სადღაცა კუნჭულში მიიმალა, მინამ ის გაივლიდა; ამასობაში შალი ჰირს დაგარდა. ფულვიამ სირა ვერ დაინახა ⁂ კაკლაში რომ დაინახა ბეირფასი შალი, დასწვდა, აიღო, კალთას ქუჩში გამოიხვია ⁂ გაუვითლდა, როდესაც შენიშნა სისხლიანი იყო. მთრთიალვარე, რომ მივიდა ფულვია შინა, შემოუძახა მსახურსა, ჩაკეტა კარი ⁂ ის ბეირფასი თვლებით მოჭედილი შალი რა გაშალა სტოლზედ, დაუწყეს განკვირებით ყურება.

— ეგ ის შალი არის, არ არის ეჭვი, უთხრა მსახურმა, მაგრამ როგორცა სჩანს მოუკვდათ.

— დარწმუნებული ხარ მაგაზედ? ჰკითხა ფულვიამ.

— დარწმუნებული ვარ ისე, როგორც დარწმუნებული ვარ იმაზედ, რომ მომკვდარიყოს ვინმე ⁂ მეკი თვალით არ მენახოს მკვდარი. სად იპოვნე ეს შალი ⁂ სისხლი რათა სცხია?

— მაგას მე ხვალ გეტყვი, ახლა გული ძრიელ მიცემს, არ ვიცი ეს რა სისხლია, ან ვისია? ეს იმას ხომ არა ნიშნავს, რომ მე მომელის რაღაც სისხლის ხლვა?

— რა სისულელეს ანბობ! ხომ არავინ დაინახა, ყელში რომ აიღე ეგ შალი?

— არავის დაუნახავს.

— მაშ ფიქრი არ არის. სჯობია ისევე ჩუჩნს ყელში იყოს, მინამ სხვის ყელში ეოფნას.

— კარგი ბ, ამ-ღამ შენც ჩემს ოთახში დაიძინე, ორნივენი დაწვნენ. ფულვია მდიდრად მორთულს კრაოტზედ ბ მსახური კი ჰოლზედ. ამ უკანასკნელს დიდ ხანს ძილი არ მოსვლია ბ თვალ დაკვირვებით უყურებდა ფულვიასა, რომელ-ცა ძილში რაღასაცა ბოდავდა. იმას ესიზრმებოდა, რომ იყო შორს უცხო ქუჩუნისაკენ, მშვენიერ ქალაქში, მდინარის ჰირას, ამ მდინარეში, ლოტკაში ვილაცა იჯდა, ესალმებოდა ბ შალს უქნევდა. მერე სცენა შეიცვალა. გემი მოცურავდა ზღვაში, იმას აქანებდა საშინელი ტალღა, იალქანზედ ფრიალებდა თვალ-მარგალიტით მოჭედილი შალი, ეს გემი ეცა კლდესა, დაიმსხვრა, გამოსცა წიეილ-კიეილის ხმა ბ განქრა ზღვის ზვირთებში. მხოლდო გემის ცალი ცხვირი ჩანდა ბ იქიდან იხილვებოდა კიდევ ძვირფასი შალი; მაგრამ თვალ-მარგალიტი ზედ აღარ არის, მხოლოდ ეს აწერია: «სისხლის ზღვა.»

V.

როდესაც სირამ დაინახა ფულვია გავიდა, შიშით წავიდა ⁊ შევიდა ცეცილიასთან, საცოდავმა უსინათლომ გაათავა კიდეც ვახშამი ⁊ მიელოდა სირასა. სირამ მიუტანა წყალი, დაბანა ჯელები, ფეხები, მაშინ-დელის ქრისტიანების ჩვეულები ⁊ მერე დაუწყო თავის ვარცხნა ⁊ თმების დაწვნა, მოწიწებით ⁊ სიყვარულით, ისე როგორც დედა უვლის შვილსა. ცეცილიაც ელა-პარაკებოდა გულის სიწმინდით ⁊ ეალერსებოდა.

იმ დროს მოვიდა აგნესა, რომელსაცა აცილებდა ფაბიოლლა. აგნესა შედგა კარებთან ⁊ ფაბიოლლას დაანახვა სირა ⁊ ცეცილია.

უსინათლო სკამზედ ჩაეომჯდარიყო, სირა უკეთებ-და თმებსა, სტოლზედ ეწყო ვახშმისაგან გადარჩენილი საჭმელი, ფაბიოლლას გული შეუწუხდა. იმან არ იცოდა გულის შეტკივება, მაგრამ ეს ჰირველად იმისაგან სა-ნახავი რომ ნახა; თუ ლარიბს, თავის კერძს როგორ

აჯმევს ჯ რო ორ უვლიდა, ჩუმათ წაუჩურჩულა აგნესას:

— ამ მონამ დამიმტკიცა დღეს, რომ დიდი გონების ჰატრონი უნდა იყოს; ახლა ცხადათა ვხედავ, რომ იშვიათის გულისა ეოფილა. დღეს რომ მითხარი მონის სიყვარული, გამიკვირდა, ახლა კი უნდა გაგიტუდე ჯ გითხრა, რომ მონის სიყვარული შეიძლება. ახლა ვწუხარ თუ რათ შევიქენი თანახმა, ამის მოსაიდვაზედ.

შემდეგ ფაბიოლლა გამოესალმა აგნესას ჯ თითონ მემობრუნდა თავის მოსასვენებელს ოთახში. აგნესა მივიდა ცეცილიასთან.

— ახლა შეიჯუე ცეცილია. დღეს რომ გთხოვე სადილი ჩემთან გეჭამა ჯ არა ქენი, თურმე აქ აჰირებდი ვახშმათ მოსვლას განა? უთხრა აგნესამ. ძრიელ მოხარული ვარ, რომ შენთან უნდა გამოუცხადო სირას, სასიხარულო ანბავი! ფაბიოლლამ დამითმო სირამე, ჯ ნება მომცა დღესვე წავიყვანო ჩემთან. ხვალ თავისუფალი იქნება სირავ, მაკრამ იმედი ძაქუს, მაინც ჩემთან იცხოვრებ ისე, როგორც ჩემი საკუთარი და.

ცეცილიამ მეტის სიხარულით ტაშს შემოჰკრა ჯ რა მიეხვია სირას უუთხრა:

— ახ, რა მიხარიან! ახ, რა გამეხარდა საყვარელო სირავ!

სირას, მეტის მადლობის გრძნობით თვალებში ცრემლი მოუვიდა ⸗ გულის სიმჩვილით უთხრა აგნესას.

— როგორი კეთილი ხარ, როგორი სულგრძელი, საყვარელო სირავ! ყოველთჳს სხვისათჳს ზრუნავ ⸗ ეგებ შემთხვევას შემწეობა მისცე. შენ გიფიქრია ჩემთჳსაც. დიდად გმადლობ საყვარელო სირავ, მაგრამ არას გზით არ შემიძლიან მოგშორდე ამ სახლსა. გარწმუნებ, აქ ყოფნას არა ვსახავ ცუდად.

— თავისუფალი რომ იქნები. უთხრა აგნესამ. ხვალვე განგათავისუფლებ მე.

— ეგ რასაკურველია აგრეა, როგორც ვიცი შენის გულისაგან, მე არ დავბადებულვარ მონა, მაგრამ შემთხვევამ ისე მოიტანა... ღვთის განკებამ მომახწია აქა.

იმას მოუვიდა ტირილი ⸗ დიდხანსა სტირდა. ცოცილია ⸗ აგნესა ჩუმათ იდგნენ ⸗ პატივისცემით შეცქერდნენ. ბოლოს შეიმაგრა ტირილი ⸗ მშვიდად უთხრა:

— მე გეუბნები, რომ ღვთის განკებით ჩამოვარდი აქა; ⸗ მაჩვენა გზა, რომელზედაც უნდა გავიარო ⸗ არ მივხედო ჩემს ბედნიერებასა. მე დანიშნული მაქუს სვე, ⸗ რომ ამას ავცდე, ჩემთჳს დიდი ცოდო იქნება, უნდა დავრჩე ფაბიოლლასთან.

— მითხარი, რა გაქვს მაგითი აზრად? რის იმედი გაქვს?

— მე ვლოცულობ მაცხოვარს, ერთის განზრახვისათჳს, ის განზრახვა მაცხოვრებას შეხვაჳს. დაე ისე აღსრულდეს, როგორც ღვთის სურვილია, იმ განზრახვისათჳს შემიწირავს ჩემი სიცოცხლე. ⁄ შენ კეთილი სულო, ამ განზრახვისა ⁄ ჩემ შორის ნუ შემიკრავ გზასა.

— როგორც შენი ნებაა, სირავ, ჩემო საუკარელო დავ, ნება მომეცი დათ გიწოდო. დაადექი იმ გზას, რომელიცა ამოგირჩევთა. ეგ ჩინებული განზრახვაა, მე კარგათ მესმის ⁄ დიდი კეთილ სულობაა შენი, რომ შენს თავისუფლებას მაგ განზრახვასა სწირავ.

ამ დროს შეკოიდა მსახური ⁄ მოახსენა აგნესას, რომ შინითგან �eli მოგვიდაო. აგნესა გამოეთხოვა ცვილიას, სირას ⁄ კაკოვიდა გარეთ, რომ ენახა ვისმეს, თუ როგორ ეთხოვ ოდა რომის დიდ კაცის ქალი ⁄ მდიდარი, ერთს უბრალო მონას სირას, ეველა გაოცდებოდა იმის ასე განუსომელს თავდაბლობაზედ, ასე ეგონებოდა, ორნი დანი ეხალმებიან ერთმანეთსაო, მა რამ მაშინდელნი ქრისტიანები, მტკიცედ აღსრულებდნ მცნებასა, მაცხოვრისაგან გადმოცემულსა; იმათ

ეველა თავიანთ მშობლად მიაჩნდათ, რადგანც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჩუენნა ვართ საზოგადოდ ერთის ღმერთის ვაჩენილები ⁂ მაშასადამე ერთის მამის შვილები, პირველ ქრისტიანებს ასსოვდათ, დიდი მღუმიერი დარიგება «ძეიეკარე მოეკაბი შენი, ვითარცა თავი შენი» ⁂ ამ საღმრთო დარიგებას წმინდად აღასრულებდნენ.

VI

აგნესა რომ ეამოდიოდა სთხოვა ცეცილიასა გაქცილებინა, მაგრამ ცეცილიამ ღიმილით მოაგონა, რომ ის იყო უსინათლო, რომლისათვის უფრო საჭირო იყო წინამძღვარი. ის მართალია უსინათლო იყო, მაგრამ ისეთი გონება ჰქონდა, რომ შეხებით იცოდა მრთელი რომის ქალაქის ქუჩები. კატაკომბში რომ ჩაეეანათ, იმ საშინელს სიბნელეში, ეველა კუთხეები ისე შესწავლილი ჰქონდა, რომ უსამთლოთ ვინც უნდა გაჰყოლოდა, მრთელს იმ ადგილებს დაატარებდა.

ფაბიას სახლში ჩავარდა ერთი ჩოჩქოლი. ეტრო-ზინამ შეიტყო, რომ სირას ძვირფასი შალი დაეკარ-გა. შექნა ერთი ანბავი, თუ ვინ მოჰპარა ამ საცოდავს ის ძვირფასი საუნჯე. ბევრი ეძებეს მაგრამ ვერ იპოვ-ნეს. რაც შეეხება სირასა, იმან იცოდა, მაგრამ ჩუმათ იყო.

ფაბიოლლა თავის ოთახში რომ შევიდა, მონები ეველანი დაითხოვა, რა ტანთ გახადეს ჯ დარჩა მარ-ტო. იმან აიღო წიგნი წასაკითხად, მაგრამ არ წაი-კითხა. მიხედ-მოიხედა ჯ დაინახა თავისი სანჯალი, იმან იგრძნო იმ სანჯლის სიძულილი, რომელიცა იყო მიზეზი ამის სიანჩხლისა ჯ სირცხვილით ლოუები გა-უწითლდა. იმან გააღო ზანდუკი, ჩააგდო შიგ ეს სან-ჯალი ჯ მაგრა დაკეტა, აღუთქვა თავის თავს, ეს სან-ჯალი თავის ღელში კელში აღარ აიღო. მერე მოა-გონდა აგნესა ჯ ფიქრობდა: «რასაკვირველია ქალია აგნესა, თითქმის უმაწვილია, მაგრამ დიდი ჭკუა აქუს, დიდი გრძნობა. დიდი კეთილის გულის პატრონია.» მერე იფიქრა, რომ როდესაც ვახშამზედ ისხდნენ, ფუ-ლვია თვალ დაკვირვებით უყურებდა აგნესას, თითქოს ცოლად უნდა შეირთოსო, მაგრამ ფაბიოლლას ის არ უნდოდა მომხდარიყო; ბოლოს ფიქრში წარმოუდგა

სებასტიანე: «აი კაცი, ანბობდა ის გონებაში,-ის სულ არა გავს რომის უმაწვილ კაცებს, იმის ჰირითგან ცუდი არა გამოვარა, არ უყვარს გაკიცხვა, ახალი ანბავების ტყუილების მოგონება არა სურს არა სვამს იმ-დენს, როგორც სხვანი; სხვასაგით ტყუილ-უბრალოთ არ დატანტალებს, რასაც იტყვის, სულ სწორედ ჭეშმარიტს. რა მშვენიერად ლაპარაკობდა ვასშაბზედ რომ ვისხედით, მართალია, ვაჟკაცი აფიცერია იმპერატორის გვარდიისა, მაგრამ რა გრძნობითა, თქვა, მართლათ მსა-რეზედ ვიქნები, ჰირუტუ საწყალთ რომ მიუერიან ადა-მიანეასთო.» იშვიათი კაცია... აი, ის რომ ეოფილიეო...

ფაბიოლლა აქ შედგა, არ ვიცით რა უნდა ეთქო, სებასტიანეს თავის ქრმად სწადოდა თუ უნდოდა აგნე-სათჳს. ის ძრიელ აფასებდა სებასტიანეს უმაწვილ-კაცობასა, როგორც ეოველის სიკეთით სრულსა; მაგ-რამ იმ ღამეს, უფრო დაეფასა იმისი სიკეთე, იმას ეჩვენა, რომ ის ღამე თითქმის იმისათჳს საღლესასწა-ულო დღე იეოს. ბოლოს იმისი ფიქრი გადავიდა ის-ევე სირაზედ. იმან მიიძინა, მაგრამ ძილი არ მოსდი-ოდა, მერე როგორც იეო დაეძინა, მაგრამ არეული სიზმრები, არ ასვენებდნენ იმასა. იმას ესიზმრებოდა რომ დასეირობდა მშვენიერს ბაღში, საღაცა იეო ბრწეინ-

ვალე სინათლე ჯ სადაც უცებ დაბნელდა. ხეებს ესხა ჩინებული ქარვის მგზავსი სილი, ერთს მწვანე ადგილს ოჯდა ცვცილია, რომელსაცა შუბლზედ რაღაცა ნეტარება ეწერა; იმას ეჩვენა, რომ ის ღარიბი ქალი ცვცილია ბედნიერი იყო, წინ ეჩვენა რომ ჩამოდიოდა მდინარე წყალი, გაღმა ისხდნენ აგნესა, სირა ჯ ცვცილია, რომელნიცა უქნევდნენ ჯელსა. ფაბიოლლა ცდილობდა მისულიყო იმათთან, მაგრამ წყალი უშლიდა. ამ დროს ბაღის სიბნელითგან გამოვიდა კალბუნია, ჯელში ეჭირა რაღაცა ფარდა, ის მოვიდა იმ სამივესთან, იმან გაშალა ეს ფარდა ჯ ზედ რაღაცა ნიშნები იყო გამოყვანილი. ეს ფარდა თან ჯ თან იშლებოდა, ბოლოს სულ ერთიან რომ გაიშალა, ამ სამივეს თავებზედ გაკრაეშალათ, აგნესას, სირას ჯ ცვცილიას, საბნივე დაიმალნენ, ამაზედ ფაბიოლლა ძრიელ შეწუხდა. ამ დროს უცებ, ბრწყინვალის სხივით, ნათელ შემოსვილი, გამოცხადდა სებასტიანე, ის აწოდებს ჯელსა ფაბიოლლას, ამასა ჰგონია, ჯელს მიაწვდის ჯ გაფრინდება იმასთან ერთად, მაგრამ ჯელს ვერ აძლევს, ვერ ემორჩილება ეს თავისი ჯელი იმასა, შეოთავს, ცდილობს ჯ ამასობაში იღვიძებს კიდეც, მეორედ ძილი აღარ მოსდის ფაბიოლლასა.

ზოგი შემდეგში იქნება

*
* *

ჩუნ ულულამ ვიცით, ღამე ფარვანა,
თრთის ვით მცივანა, როს სამთელს ხვდება;
აი ნათელმა, სად მოიუვანა?
ერთი, ათს ბიჯზედ, შუქს ეგვედრება.

ტ როს მოფრინავს, თეთრის ფრთებითა,
არ გრძნობს საბრალო, თუ დაიწვება;
გვიუვარს მარადო, ჩუნ ბუნებითა!
გარს უვლის სამთელს, მანამ იწვება.

ტ როს იწვება, ეს უბედური—
ბზუის ტრიალებს, ტ ამას ანბობს:
რომ არ მეხილა, არ მეგდო ეური,
არ დავიწოდი დარდითა ვალობს;

აი დავიწვი, მე სამთლის შუქით,
არც თუ ძალიან, ~~ვარ გასამტეუნი~~;
აგერ ვხედამო, მეღუველი იქით,
ჩიგის ჩემებრივ, ისმის ბურტეუნი.

ფარვანა.

თუკი, რომ ჩვენა, არა გვაქვს გრძნობა,
ჯ არ ვიცით ეს, თუ დავიწვებიო;
ზეტაფილებთ რადათ, გაქვსთ მათი ტრფობა!
რათ დასტრიალებთ, რათ ეგედრებით?
მე თითონა ვგრძნობ, მართალს გვაუწყებს;
ვინც გვეტრფის ცხად სჩანს, ფარიკაცელი.
თუ დაკარგებთ, ჩიტილს დაიწყებს,
არა აქვსთ ტრფობა, არც ერთი ძველი...

კონსტანტინე ბერძენიშვილი.

დ. სემენოვნა. მურაბებს ვიდულობთ, თუ თქვენნა სარშაეთ.

დ. ივანოვნა. ჩვენ თითონა ვხარშავთ. (კიდევ სიჩუმე ჩამოვარდება).

ი. გაბრიელიჩი (მივა ნაკერ ბალიშთან). ეს კატა თქვენ შეგიკერავთ ბალიშზედ?

ავდოთია. (შეკრთომით.) მე.

ი. გაბრიელიჩი. თქვენ თითონ?

ავდოთია. დიახ, მე თითონ.

ი. გაბრიელიჩი. როგორ არის შეკერილი? თქვენ-ნის გოგრით, თუ სხვა სახითგან გადმოიღე?

ავდოთია. გადმოვიღე.

დედაკაცი. (კარებითგან). მე ტ ჩემა ღმერთმა კარ-გი საქრმო არის... ხედამ! ამაზედ კარგი რაღა იქნება.

(ავდოთია გაიუენებს ვერონჩკას განზედ).

ბებია. (ჩუმათ ავდოთიას). სად წახველი, მიდი შენს საქრმოს ჰირ ტ ჰირ დაუდექი.

ვერიჩკა. ავ გუნებაზედ შეიქნა.

ბებია. რათა, ძუძუჯან?

ვერიჩკა. შიშისაგან.

(სმესოვი ტ დარია ივანოვნა მივლენ კარებთან).

გაბრიელ ჰროკოპიჩი. (შვილს). რაო? როგორ მოგწონს თვალათ?

ი. გრიგორიჩი. სულ ყველა შენი ნებაა მამავ, ⁄ მეკი ამაზედ მეტი არ მინდა. სწორეთ ჩემის ჯკუისა არის, როგორც ლაპარაკით, ისე ეოფილის ფრით.

გ. ჰროკოპიჩი. (ცოლს). შენ რაღას ეტყვი?

დ. სემენოვნა. მე რა შემიძლიან, თუკი შაგას მოსწონს, რაკი მაგასა სურს, მეც დაველოცავ... ცოტა რომ ზქელი ეოფილიეო კი, უფრო თვალსაჩუნი ქალი იქნებოდა.

ი. გაბრიელიჩი. (სიჩქარით). დედავ არ დაიწუნება.

დ. სემენოვნა. როგორც შენ ⁄ მამა შენმა იცოდეთ. ჩემთჯს სულ ერთია. (ყველანი დგებიან).

გ. ჰროკოპიჩი. ახლა კი წავალთ, მოგვიტევეთ. შემოიარეთ ჩვენსა ⁄ იქ მოვილაპარაკებთ. (სმენოვს რა განზედ გაიყენებს). გამოუცხადეთ, ოქუცნს ქალს, რომ ჩუცნს შვილს ძალიან მოეწონა. მზითვის სიაზედ კი ჩუცნსა მოვილაპარაკებთ. (ყველანი გადიან).

ვერიჩკა. რაო, ავდოთიაჯან, მოგეწონა შენი საქრმო?

ავდოთია. (გაწითლდება). ჯერ არ ;

ებია. მაგას მერე შეიტყობ.

II.

თავლაში ლაპარაკი.

მაკარი, სასიძოს კუჩერი; ფეოდოსი, სძესოვის კუჩერი.

მაკარი. (რა შევა). მოგვილოცავს.

ფეოდოსი. მადლობელი ვარ.

მაკარი. შემოესვივნენ ჩუენს ივანე გაბრიელიჩს.

ფეოდოსი. ეს ძალიან კარგი საქმე მოხვდა ეველასა სწიოს ამისთანა ბედი.

მაკარი. მაშ ახლა ერთად ვიცხოვრებთ.

ფეოდოსი. რა არის თქუენი სიმდიდრე, ჩუენ ისეთი ქალი მოგეცით რომ, გენერალის ღირსი იყო.

მაკარი. ჩუენი გაბრიელ ჰროკოპიჩისათუს სულ ერთია, იმისათუს ჰირველი ფულებია,—ჩუენ ქალის სილამაზეს არ დავდევთ, ბევრზედ იყო დანიშნული ჩემი ხაზიანი, მაგრამ...

ფედოსი. რა უყოთ რომ აძლევდნენ, ამისთანა ხომ არ იქნებოდა. სიზოვის ქალსაც აძლევდნენ, მაგრამ...

მაკარი. ვიცით. ჩუენ მართალია იმაზედაც დავი-ნიშნეთ, მაგრამ მერე გაუშვით, ერთი ანბავი დაგვახ-წიეს, ისე გაგვიჭირეს საქმე, რომ ი. გაბრიელიჩი, გაიქცა ⸗ საქართუელოში დაიმალა. თუნდა ციმბირში გავიგზავნო მაინც არ შევირთამო.

ფეოდოსი. ხედამ რა კაცი ეოფილა!

მაკარი. ოო, სხუა ნაირი კაცი არის. ახლა რო-გორღაც არ არის რომ მოჭკვიანდა, ადრე ტრასტირში რომ დაელიკა, რაც მოხვდებოდა სულ მიამტვრევ-მო-ამტვრევდა; მერე აიღებდა ⸗ ბატრონს ფულებს მიუე-რიდა; ეტეოდა, ჩემი ხასიეთი ეს არისო. ერთხელ უცებ დაგვეკარგა.

ფეოდოსი. მერე?

მაკარი. მერე ⸗, ერთს ნემენცს ⸗ იმას ბევრი ესოთ, მთვრალები სადღაც დაკარგუოიეენენ. რასტოვში თურმე მისულიეენენ ⸗ აქა იქ მთვრალები დატანტალებდნენ. ბებიამ რომ შეიტეო, მამის ჩუმათ წავიდა, გამოუდგა იმის კვალს, იპოვნა, ერთს უდაბნოში მიიეანა ⸗ იქ არ იეო რომ ცოტა ჭკუაზედ მოვიდა... ცხარე კაცია! იმანა ⸗ ერთმა თოკითგან გაწეეტილმა ფრანცუზმა, ერთს სახლი გადაუწვეს. ახლაც თუ ერთი ჟინმა მო-უარა, სახლში რაც რამ არის, სულ დაამსხვრევს.

ფეოდოსი. წავიდე ალაფის კარები ჩავკეტო, თორემ მეზობლები ეურებას დაგვიწყებენ ნიშნობაში.

მაკარი. რა გენალვლება იეურონ.

ფეოდოსი. მართალია, რა მენალვლება, იეურონ.

III.

ბატარა ოთაგია, მწვანე ქალალდი აქვს კედლებს გაკრული. ავდოთია ⁄ ი. გაბრიელიჩი, საქრმო ⁄ საცოლო, სხედან მდივანზედ.

ავდოთია. როდესაც მზითვის სიაზედ თანასმანი გახდებით, მაშინ ხომ ივლით ეოველ დღეს.

ი. გაბრიელიჩი. არა თუ ეოველ დღე, სულ ერთიანათაც რომ შეიძლებოდეს თქვენთან დავდგები.

ავდოთია. სწორეთ მითხარით, ძალიან გიყვართ?

ი. გაბრიელიჩი. მაგას რალა თქმა უნდა. ეგ არ არის მიზეზი რომ გირთავ. (კოცნიან ერთმანეთს. სიჩუმე ჩამოვარდება).

ავდოთია. მაგას იქნება სიტყვით მეუბნები ⁄ გულში კი სხვასა გრძნობ.

ი. გაბრიელიჩი. ერთი ფიქრი მაქუს მარტო თავ-ში. რომ მალე მოვშორდე ჩემს დედ მამასა, თავისუფ-ლად ვიცხოვრო. მე რომ ჩემთჳს ვიდგე, მაშინ სულ სხუა იქნებოდა. როგორც კარგათ დავფიქრდები ხოლმე, ვხედავ რომ უბედური კაცი ვარ, თქუენ არ იცით, თუ რა სასტიკათ მინახავენ. წელან ჰაპიროსი მოვწიე, მო-მასწრეს ⁂ ერთი ანბავი დამაღწიეს. მინამ არ გადა-მაგდებინეს, არ მოშეშვნენ. (სიჩუმე ჩამოვარდება).

ავდოთია. ადრე არავინა გუვარებია?

ი. გაბრიელიჩი. ჩემისთანა მდგომარეობაში კაცს რა სიყვარულისა ცხელა. ზოგჯერ რაც არ მინდა, იმას ვჩადიავარ, მერე შევწუხდები ხოლმე, დავფიქრდები ⁂... დიდი ხანია მინდა ცოლი შევირთო; ექვსი მეტი სა-ცოლო გამასინჯეს; ხან იმათ არ მოვწონვარ, ხან მე არ მომწონს, უფრო სულ ფულები კი გვაპრკოლებდა. ჩუენ რომ მოველით თქუენ სანახავად, ვაი თუ ესეც არ მოეწონათ მეთქი, ვიფიქრე.

ავდოთია. რომ იმათ არ მოვწონებოდი, მაშინ რას იქმოდით?

(შემოდიან სმესოვი ⁂ მარია ივანოვნა, ჩინოვნიკის ცოლი).

ავდოთია. ეჰ დედავ, თქუენ დაგვიშალეთ ლაპარაკი.

სმესოვისა. ილაპარაკეთ საუკარელნო, ილაპარაკეთ, ვინ გიშლით.

ავდოთია. არა, ახლა ალარ ვილაპარაკებთ, გავიდეთ ზალაში.

ი. გაბრიელიჩი. (იცინის). თუნდა სიუკარულზედ ილაპარაკოთ, თუნდა სხუაზედ, რაზედაც ვნებავთ.

მარია ივანოვნა. საცოლოს ‌ ‌ საქრმოს მეტი რა სალაპარაკო უნდა ‌ ‌ ‌

სმესოვნა. მადლობა ღმერთს ჯერ არა ისმისრა, მაგრამ მკითხავმა დამაფიქრა, ახლა ვწუხვარ, ნეტავი არ წავსულვიყავ მაინც მკითხავთანა.

მარია ივანოვნა. შაგაზედ ნუ მესწუხდებით, ისინი სულ სიცრუეს გეტყვიან.

სმესოვა. ღმერთმა იცის, მაგრამ დამაფიქრა კი, ერთი იმისთანა სიტყვა მითხრა, დღეს მრთელი დღე სულ ამასა ვფიქრობ.

მარია ივანოვნა. სხუათ ჰარაკლისი ახდევინეთ.

მსახური. (კარებითგან). მობძანდით ზალაში.

მარია ივანოვნა. ნუ შესწუხდებით მკითხავის სიტყვებზედ, სულ სიცრუე უთქვამს. (კავლენ).

ზალა მწვანე ქალალდ გაკრულია. ჰირ ტ ჰირ ორი ფოტრეთი ჭკიდია, სახლის ჰატრონისა ტ იმის ცოლისა, მარჯვნივ მხარეზედ კუთხეში თამაშობენ ჰროფერანს, მარცხნივ ჭანდრაკსა. ჰირ ტ ჰირ სხვადან სტუმრები, უფრო ქალები, კარებთან ირევიან მოსამსახურეები, ფანჯარაში იუურებიან მეზობლის გოგოები.

ერთი უმაწვილი კაცი. გვიბძანეთ კადრელი ვიტანციო!

ერთი ქალი. როგორცა გნებავდეთ, მაგრამ რა-�ом არ შეიძლება.

უმაწვილი კაცი., დროს გასართობათ მაინც.

მეორე უმაწვილი კაცი. (მუზიკანტებს). დაუკარით ფრანცუზული კადრელი, რუსულის სიმღერითვან.

პირველი სტუმარი. მე არ მიყვარს ტანცაობა, მაგაში კარგი არა არისრა. (გავა ⅆ უკან სამიოდე სტუმრები გაჰყვებიან. შემოდიან ი. გაბრიელიჩი ⅆ ავდოთია).

ი. გაბრიელიჩი. რაო დედავ?

დ. სემენოვნა. ჯერ მგონია არაფერია; ან რას გაიგებ.

გ. პროკოპიჩი. (მსახურს). პუნში მამიტანე კიდევ.

მსახური. მესმის. (გავა).

ი. გაბრიელიჩი. (მამახ). თქუენ კი გეყოფათ.

გ. პროკოპიჩი. (შეტევით). ხმა გაიწყვიტე!

ი. გაბრიელიჩი. მე რა მენაღვლება, თქუენ იცით, რამდენიცა გსურთ დალიეთ, სირცხვილია თორემ თქუენი ნებაა.

გ. პროკოპიჩი. ჩემი დარიგება არავის შეუძლიან.

ერთი უმაწვილი კაცი. არა, მეექვსე ფიგურის თამაშობა არ შეიძლიან.

გ. პროკოპიჩი. მოიცა, მე ვიტანციებ. (ყველანი იცინიან).

მეორე სტუმარი. არა მე. (ყველანი იცინიან).

პირველი სტუმარი. იქით ჩამოდექი, მე უნდა ვიტანცირ. ნუ მიშლი.

მსახური. ჰუნში რომ მიბძანეთ, ინებეთ.

გ. ჰროკოპიჩი. მადლობელი ვარ ჩემო მეგობარო, მაკოცე ველზედ. (ეხვევა მსახურს მთვრალი).

დ. სემენოვნა. ქუჩაში მაინც გადი, ⸗ ნუ გვარცხვნი აქა.

გ. ჰროკოპიჩი. ეგ შენი საქმე არ არის.

დ. სემენოვნა. რა უბედურებაა, რომ ვახშმობამდინაც ვერ მოითმინე.

გ. ჰროკოპიჩი. შენკი ხმა გაიკმინდე, რასაც არ გიბძანებდნენ, შენი საქმე არ არის. (გავა).

(ბებია შემოდის ⸗ ეუბნება რალასაც სტუმრებსა უურში; ყველანი გადიან, კადრელი თავდება).

ერთი სტუმარი. (მსახურს) სად გადიან?

მსახური. უთუოდ ზაკუსკის საჭმელად, დასაძინებელს ოთახში, ეოველთჯს ქალებს ზაკუსკას იქ მივზრთმევთ ხოლმე, რადგანც სცხვენიანთ ⸗ კაცებთან არაი ვერ დაულევიათ. თქუენ გეტეობათ არ იცით ჯერ აქაური ჩვეულება.

სმესოვა. (შემოდის). აბა ქალებო, დროა დავნიშნოთ.

მსახური. (წაუჩურჩულებს ეურში ი. გაბრიელიჩს, რა შემოვა). გამობძანდით გარეთ ბატონო, დაამშვიდეთ მამა თქუენი, რომელიცა ისე დამთვრალა რომ ქუჩაში ეგირის ⸗ ხალხი შემოხვევია; ხან ცემეკობს, ეველანი დაიცინებიან.

ი. გაბრიელიჩი. ღმერთო ეს რა შერცხვენაა. დედავ გამოდით, ჩემთან.

დ. სემენოვნა. რა ანბავიაო?

ი. გაბრიელიჩი. რაღა რა ანბავია, მე თითონ მომეკიდა არაყი ⸗ ვბარბაცებ (გარბიან გარეთ).

თაველალი.

ფეოდოსი. მაკარი, ადექი ჩქარა!

მაკარი. (რა იღვიძებს). რაო, მოგართვათ დროუკა?

ფეოდოსი შენი ხაზიანი...

მაკარი. რა ჩემი ხაზიანი, ფანჯრებს ამტვრევს?

ფეოდოსი. არა, მაგრამ ქუჩაში კი მამა შვილნი, ხტიან, თამაშობენ ⸗ ხალხი მასსარათ იგდებს.

*
* *

აღვიხილენ თვალნი მჭვრეტელნი,
ნარნარნი ქალნი მე სახლში მსვლელნი!
იგი დავსახე, ქალად ეთერად—
კვიპაროზისა მგზავსად შერთულად.
სოლომონიდცა გიძღვნის ქებასა,
უუკეთესსა ქალთა კრებასა;
ქალთა ლაშქარნი შენ დაგნატრიან,
სავერდთა ხხივნი ტუჩთა გაყრიან.
ნათლად ვიხილე, მე შენი სახე!
იასპის მგზავსად თვალნი დავსახე.
ნაზად აღზდილო, მშვენიერ სახე?
აღმოსთქუა გულმა ჩემთვინ დაგსახე.
ოდეს მეღირსოს ვარდად ნერგულად,
სპეტაკსა გულსა უძღვნა მე სრულად.
ვეტრფობი შენთა გიშერთა თვალთა,
რომს აღცისკროვნებს საროსა ტანთა.
მჩქროლვარე გული ალერსსა გიძღვნის,
ოდეს ჭკლა ჭფინო, გიშრისა თმანი;
ლერწამი ტანი, ბროლისა მკერდი,
აღგეთქვას სრულად სამოთხით ბედი...

კ. ბერძენოვი-კობალაძე.

1873 წელსა.

«ცისკარის» დაბარება შეიძლება ამ სახით: ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 6 მანეთი.

რედაქცია იმყოფება იარმუკაში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено цензурою.

Въ Типографіи И. Кереселидзе, на Салдатскомъ базарѣ.